№ 254 ნოემბრის 25, კვირა. 1866—1884 ნოემბრის 25, კვირა. № 254

ტფილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроеба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში —ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

### ქართული თეატრი

დღეს, ნოემბრის 25-ს.

ბენეფისი

მ. მ. მძინაროვისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დაქცეული ოჯახი

კომედია 3-ს მოქმედებად, თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა. კ. ყიფიანი და გამოჩენილი თარის დამკვრელი ბ. მამიკონიანი.

II

დივერტისმენტი

ბ. მამიკონიანი—თარზე დაუკრავს სხვა-და-სხვა ხმებს; ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იმღერებს ქართულს ხმებს; ი. ჯაჯანაშვილი და ნ. ერისთავი წაიკითხვენ ლექსებს.

III

დატრიალდა ჯარა

ვოდევილი 1 მოქმედებად კ. ყიფიანისა.

დასაწყისი 8 საათზე.

ქ. გორში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე საზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში 20$_0/^0$ წინ მიღებით ბეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრასკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წერილებითაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ—თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ქირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

ალექსი თუთაევი.

(12—2)

## შინაური ქრონიკა

== ჩვენ გავიგეთ, რომ გორის მაზრის სოფ. ცხინვალისა და ბორჯალოს მაზრის სოფ. შულავრის საზოგადოებათ წინადადება შეუტანიათ სადაც ჯერ არს, რომ ამ სოფლებში გაიხსნას ტელეგრაფის სტანციები. მცხოვრებნი ჰკისრულობენ სტანციისთვის გამოსადეგ სადგურისა და დეპეშების დამტარებელის თავის ხარჯით დაქირავებას.

== სოფ. გლდანიდამ გვწერენ: დღეს, 20-ს ნოემბერს, ნაშუადღევს, კინაღამ კაცის კვლა მოხდა... თუ ორი არა, ერთი კაცი ან მოკვდებოდა, ან მძიმედ მაინც დაიჭრებოდა, თუ გამშველებელი არ გაჩნდებოდა: თბილისის ერთი მცხოვრები, ბაგრატ თოქმაჩოვი ბებუთით დაერია ორს საწყალს ლეჩხუმელს გლეხ-კაცებს (ფრუიძეებს). მიზეზი, აი, რა ყოფილა: ორიოდე მანეთის საშოვნელად, საწყალი გლეხები წამოსულან თბილისისაკენ, მიუტოვებიათ ღვთის-ანაბარად სახლ-კარობა და ცოლ-შვილი და აქ, სოფელს გლდანში, ბრმა შემთხვევით მოჯამაგირედ დასდგომიან ნიკო თოქმაჩოვს (მამაა ბაგრატ თოქმაჩოვისა), რომელსაც საგურამოს მთაში გაუგზავნია ნახშირის ორმოზედ სამუშაოდ. უმუშავნიათ გლეხებს მთაში ზამთარ-ზაფხულ და როდესაც გამოუანგარიშნიათ, რომ მათი ნაოფლარი მესედად მაინც დააკმაყოფილებს მათი ოჯახის, მტრისა და მოყვრის მოთხოვნილებას, გაუბედნიათ კადნიერება და მოუთხოვიათ ალისათვის ხვედრი ჯამაგირი. ალა დაჰპირებია მიცემას, მაგრამ ამ დაპირებაში ბევრს წყალსაც ჩაუვლია და ბევრი თავიც გამხმარა. ბოლოს, როდესაც გლეხები მოთმინებისაგან გამოსულან (უფრო იმისთვის, რომ ალა თოქმაჩოვი დაპირებულს ვადაზედ ყოველთვის ემალებოდა მათ), წასულიყვნენ სოფ. გლდანს და ნახშირით დასაპალნებული ალის ორი ჯორი გაეჩერებინათ ერთი დუქნის წინ, რომ ამ საშუალებით ენახათ ალა თოქმაჩოვი და საქმე როგორმე გაეთავებიათ. აი, ეს იყო მიზეზი, რომ ჩალვადარი ბაგრატ თოქმაჩოვი ბებუთით დაერია ამ გლეხებს ჯორების გაჩერებისათვის. ეხლა ეს გლეხები დაეხეტებიან ქალაქში, არა აქვსთ გზის ფული, რომ ცარიელები მაინც წავიდენ თავიანთ ქვეყანაში. ჩივილის თავი, რასაკვირველია, არა აქვსთ. თუ ვექილი დაიყენეს,—სულ ერთია, გინდ მგელს შეუჭამია, გინდ მგლის ფერს ძაღლს. ჩემს ხელად საკმაო სია რამოდენიმე რაჭველი და ლეჩხუმელი გლეხებისა, რომელთ ნაოფლარი ფული ბლომად შერჩენია ამ გამოჩენილს ალა თოქმაჩოვს. ერთი გლეხი ჯამაგირის მიღებაზედ კიდეც დაეჭრა მის შვილს ბაგრატს. თუმცა გვიან კია, მაგრამ კარგი იქნება ეხლა მაინც მიექციოს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს და სამუდამოდ მოის-

---

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 25-ს

## საკვირაო ფელეტონი.

ლიტერატორების «პოლემიკა» ნევის პროსპექტზედ.—ჩვენებური თავადი «სტრეკოზას» პირში.—ახირებული დასკვნა.—ხუჭუჭი თმების მტერი პედაგოგი.—ერთი ახალი ამბავი.—როგორ მიიღო იგი ჩვენმა საზოგადოებამ.—განცხადებანი.

გეხსომებათ, რომ ამ თვე-ნახევრის წინად ნევის პროსპექტზედ ორმა ლიტერატორმა ცხარე «პოლემიკა» გამართეს. იერიშით მიმსვლელი პოლემიზატორი იყო შვილი რუსის პოეტის პლეშჩეევისა და ამ პოლემიკით დაძაბუნებული—გამოჩენილი „ნოვოე ვრემიას“ ფელეტონისტი ბურენინი. დიაღ, გამართეს პოლემიკა, რომელშიაც საგაზეთო ქაღალდის მაგივრად ნევის პროსპექტის პანელი ჰქონდათ და ხელში კალმად სამეცხვარეო კეტი, თუ ორივეს არა, ერთს მათგანს მაინც. ეს ამბავი ამ გვარად მოხდა: მიდიოდა ბურენინი პროსპექტზედ, დახვდა კეტით ხელში პლეშჩეევი და სთხლიშა თავში იმ ფელეტონის გამო, რომელიც «ნოვოე ვრემიაში» იყო დაბეჭდილი და რომელშიაც გამოყვანილი გმირად თავის თავი ეცნო.

ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყოთ პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთობას; მათს ხითხითსა და ნიშნის მოგებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ არავის არ მოსვლია თავში ეს ფაქტი საზოგადო ფაქტად მიეღო, და რაკი ერთმა წუწკმა არსებამ, თუმცა კი ლიტერატურის სამზარეულოში ლიტერატორად წოდებულმა, უმგზავსი საშუალება იხმარა,—ეს დასკვნა გამოეყვანა: ესა და ეს ლიტერატორი ვერ მოიქცა კარგად, რაკი კალმით ბრძოლას კეტით ბრძოლა არჩია და ზედ შუაგულ ნევის პროსპექტზედ ჩირქი მოსცხო თავის სახელს,—მაშასადამე ყველა ლიტერატორები ესეთი ბაშიბუზუკები არიან და სიმართლე ჯოხის წვერზედ უწერიათ და არა კალმის წვერზედაო.

ახირებული «მაშასადამე» იქნებოდა, მაგრამ ამ გვარს «მაშასადამეს“ ხანდისხან შეხვდებით სხვა-და-სხვა პლეშჩეევის მზგავსის ლიტერატორების ნაწერში, როდესაც ეს „მაშასადამე“ სხვებს შეეხებათ და არა მათვე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ გვარი «პოლემიკისა» ერთი ჩვენებური თავადი მიუხდა პეტერბურგშივე პატარა გაზეთის, «პეტერბურგის ლისტოკის», რედაქტორს სახლში თავის ამფსონებით და მისსავე რედაქციაში გალახა, ანუ ლიტერატურულად რომ ვსთქვათ, შეურაცხება მიაყენა იმის ცუდად ხსენებისათვის. ესეთი მართლა რომ უმზგავსი საქციელი ჩვენებური თავადისა ყბად აიღო პეტერბურგელმა გაზეთმა «სტრეკოზამ», რომელსაც კრინტიც არ დაუძრავს ნევის პროსპექტზედ პოლემიკის შესახებ და შემდეგი «მაშასადამე»-თი დაასკვნა თავისი მოსაზრება: თქვენ, რასაკვირველია გეცოდინებათ, ვინ არის კავკასიელი «კნეზი»: ეს კარიკატურა სასაცილოა თუ ოდნავ შეჰხედავთ მას, და თუ ყურადღებით გასინჯავთ, თავის საზიზღრობით მოთმინებას გამოგილევთ: თავი ფრინველისა, ფეხები გრძელი, გაცვეთილი სამასკარადო ტანისამოსი, მუშტი ერთფუთიანი, თეთრად დაკრეჭილი კბილები, უაზრო და რითმიანი სიტყვა-პასუხი, წყალის-მზიდავის მიხვრა-მოხვრა, სიმკაცრე და გაუთლელობა ველური კაცისა და ცოტაოდენი სათვნელი ჰკუა-გონებისა, რომელთან შედარებით პატარა მაიმუნი უისტიტის ჭკუა-გონებისა ჯილაგისა გენიოს-ქმნილებად მოგეჩვენებათ.... ამ ჩხუბს, უნდა დავთანხმდეთ, ნაციონალური ხასიათი აქვს ბეჭედი

პოს ნიკო თოქმაჩოვისაგან საწყალი მუშა-კაცების წვალება და მათი ნაოფლარის შერჩენა».

— ხუთი წელიწადია მას აქედ, — გვწერენ ჩვენ, — რაც ბექათუბნის საზოგადოების ბედ-იღბალი ერთის „პომპოლა" მამასახლისის ხელში ტრიალებს, ბევრს უწესოებას სჩადის, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი. გლეხები ძალიან ემდურებიანო, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა გაბატონებულ და გაოხავრებულ მოხელესთანაო.

— იქიდამვე შემოგვჩივიან: „ბექათუბნის საზოგადოება შესდგება 500-სის კომლისაგან და ამოდენა საზოგადოებას ერთი სკოლა არა აქვს, რომ გლეხის პატარა შვილმა, რომელშიაც ძლიერ აღძრულია სწავლის სურვილი, დედა ენის ანბანი მაინც ისწავლოს, მაგრამ უკიდურესი სიღარიბე აქაურის გლეხებისა და უთაურობა ამ საკეთილდღეო საქმეს სკოლის გამართვისას ძლიერ უშლის ხელს".

— ურიოდე სიტყვას კიდევ მოგწერთ, — ამბობს ჩვენი ბექათუბნელი კორესპონდენტი, — ამას წინად ერთის ყაჩაღის მოკვლის შესახებ: — წარსულს თვეში ბექათუბნის სტანციის ახლოს პ—მა გ. ა—მა ერთი ყაჩაღი სასიკვდილოდ დასჭრა. ამ საცოდავმა ბოროტ-მოქმედმა დაჭრის შემდეგ სამი დღე იცოცხლა და შემდეგ გამოესალმა ამ სოფელს. ეს ყაჩაღი სოფ. ფონიდგან (შორაპნის მაზრა) ყოფილიყო, ერთი გლეხ-კაცის უკანონო შვილი და ამ რამდენიმე წლის წინედ შესდგომია თავის საზიზღარ საქმეს. აქაურები მადლობას უცხადებენ გ. ა—ვს ამ ყაჩაღის მოკვლისათვის და სწორედ რომ მადლობის ღირსიც არის. ცოტა არ იყოს ამ მოქმედებამ შეაშინა ჩვენი ღამის რაინდები.

— გაზ. „კავკაზს" სწერენ განჯიდამ, რომ ამ თვის 8-ს, დიდის თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძის დღეობის დღეს ამ ქალაქში გაუხსნიათ პროფესიონალური სასწავლებელი მათის უმაღლესობის სახელობაზე. გახსნისთანავე სასწავლებელში მიუღიათ 42 მოწაფე — ამათგან 10 პანსიონერად.

მოკლეს ხანში ქ. განჯა კიდევ იდღესასწაულებსო წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის გახსნას. ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი სიხარულით ეგებება ამ მოვლენას, და პატივის-ცემით იხსენიებს ადგილობრივ გუბერნატორს თ. ა. დ. ნაკაშიძეს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სასწავლებელთა გახსნაშიო.

— ნოემბრის 10-ს გამართულის წარმოდგენიდამ ი. გ. ფითოევის თეატრალურს დარბაზში წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ დარჩენილა 240 მან. 50 კაპ.

— ნოემბრის 30-დამ თბილისელ საზოგადოებისაგან ცნობილი ლექტორი ბ. ვარაპაევი პარასკეობით დაიწყებს ლექციების კითხვას ფიზიკურ მეცნიერებიდამ.

## კახეთის ავი და კარგი.

თუმცა არა ერთხელ თქმულა ჩვენი თელავის ბუნებრივ სიტურფეზედ და სილამაზეზედ, მაგრამ შთაბეჭდილება, რომელსაც იგი მნახველზედ ახდენს, არ ასვენებს კაცს, რომ ორიოდე სიტყვა კიდევ არ წარმოსთქვას. მართლაც, ეს საქართველოს უმშვენიერესი ქალაქი, თავის კოპწია მდებარეობით და არე-მარეთი ძნელად თუ ჩამოუვარდება იმ ევროპის სიმშვენიერით განთქმულ ადგილებს, რომლების სანახავად ასობით და ათასობით მიილტვის ხალხი სხვა და სხვა კუთხეებიდგან და ქვეყნებიდგან. რუსის გამოჩენილი მწერალი მორდოვცევი თავის მოგზაურობაში «არარატზედ» დილიჯნის ღელეს სიმშვენიერით მაღლა აყენებს ევროპის ყველა ნაქებ ადგილებზედ. თელავის გარემო და, განსაკუთრებით, კახეთის ველი თელავიდამ, გაცილებით სჯობიან დილიჯანის ღელეს, და მაშასადამე ევროპის ადგილებსაც. ესრედ წოდებულ «ნადიკვარზედ» შედგომა და იქიდამ მოხედვა ალაზნის ველისა, ერთს ქვეყნადა ღირს.

ამისთანა გარეგან სიმშვენიერეს და ბუნებრივ მორთულობას არ შეშვენის თვით ქალაქის ბინძურობა და უსუფთაობა, რომელიც სუფევს თელავში. აქაური ვიწრო თუ ფართო ქუჩები ნაგავით და იმისთანა ტალახით არიან სავსენი, რომ ზღაპრადაც არ გაგონილა; ტალახს ჯანი გავარდეს, ნეტავი ეს სიმყრალე არ გვაწუხებდეს. გაუწმენდავი ფეხის ადგილები და მივარდნილი კუნჭულ-კუთხეები ფეხის ადგილებად ქცეულნი, საშინლად სწამლავენ ამ მადლიან ჰავას თელავისას. მივაქცევთ ყურადღებას ღვთაების ეკლესიასთან დანგრეულ ალაყაფის კარებზედ, სადაც იმისთანა სისაძაგლე და სიმყრალე სუფევს, რომ ფოსტაში და ეკლესიაში მიმავალ ხალხს ცხვირზედ ხელმიუფარებლივ ვერ აუვლია; აგრეთვე — რიყის მარჯვენა მხარეზედ, სადაც დუქნების გარდა რამდენიმე სადგომი ეზოებია, და ამ ეზოებში შესაზარავი ტალახი და ომარხნობის აქეთ გაუზიდავი საქონლის პატივია; მივაქცევთ ყურადღებას ბაზრის ვიწრო ქუჩებზედ და განსაკუთრებით სამოქალაქო სასწავლებლის გზის-მისავალზედ, რომელიც ცოტა თიხა-ნარევია და, პატარა ნამი რომ დაეცეს, ისრე გახდება კაცის ფეხისაგან, რომ გეგონებათ, მეავურ-მეალიზე თათარს დაუზელიაო საგანგებოდ. ამ გზაზედ დაიარება მთელი შაგირდობა და მასწავლებლობა და ბევრჯერ მომხდარა, რომ წაღები თუ კალოშები შიგ ტალახში ჩარჩენიათ. ამასთანავე აქ არის ერთი ტბაგუბე, რომელიც ზამთარ ზაფხულ დაუშრობელია, ტყუილად სწამლავს ჰაერს და ცუდად ეჩხირება კაცს თვალში. ამაზედ თავის დროზე იყო დაწერილი, მაგრამ, შენ არ მომიკვდე, ყურს არავინ იბერტყავს. ქალაქის ვალია ყურადღება მიაქციოს, სხვას თუ არა, ზემოხსენებულ გზას მაინც, რომელზედაც მომეტებულად მოქალაქეთა შვილნი იტეხენ კისერსა.

ეს გზა უნდა გასწორდეს და ქვაწვრილი დაეყაროს. ქალაქისათვის ეს ადვილი საქმეა. ისრე კი არ მოიქცენ აქაც როგორც ტელეგრაფის სტანციის გზის ანუ ქუჩის გაკეთებაზედ. საბრალოებს ძალიან ჭკუა-მოკლეობა მოუვიდათ. ისრე აამაღლეს შუაგული ამ გზისა, რომ ერთი კაცი ძლივს გაივლის და ზედაც თიხა დააყარეს (რა ჭკუის გამჭრიახობაა!). შენი მტერი, წვიმის დროს თუ შეგვხვდა აქ სიარული! წრიაპებით თუ ვივლით ამ გზაზედ, თორემ სხვა ღონისძიება არ არის.

ამისთანა ტალახ-ბინძურობაში კაცს ვერ გაუვლია ქუჩაში, ზოგჯერ გადასცდები ბილიკას და წუმპეში მუხლებამდის შეერევი. ამისთანა დროს ფარნები მაინც უნდა გვშველიდენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ, ამ ნავთის სიაფეში, ისინი ისრე შორს არიან ერთმანეთზედ, რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებენ. სიშორეს თავი დავანებოთ, ზოგჯერ და ზოგ ადგილას სულაც არ ანთიან ხოლმე და, საცა ანთიან, იქაც ცოტათი ბჟუტავენ...

რომ ფხიზლად იყვნენ, ესეები არ მოხდებოდა.

(შემდეგი იქნება)

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ნოემბრის 23.

პეტერბურგი. საგზო ინსტიტუტმა იდღესასწაულა დღეს სამოცდა-

---

და სწორედ ყაბარდოელების გემოვნებისაა: ამბობენ, კავკასიაში კბილების ჩამტვრევა თითქმის სადარბაისლო დროს გატარებაა — საზოგადოების შუაწრისაო... მაგრამ ყოველ ქალაქს თავისი ჩვეულება აქვს და პეტერბურგი თბილისი როდია; ნევის ნაპირებზედ «კბილების ჩამტვრევა» არ ითვლება «ნება-დართულ დროს-გატარებად...»

მართალია, «სტრეკოზა» სახუმარო ჟურნალად ითვლება და შეუძლიან იოხუნჯოს და დრო გაატარებინოს თავის მკითხველებს ნება-დართვითაც და ნება-დაურთველადაც, მაგრამ არსებობენ ისეთი კანონები, რომელთაც დაუსჯელად არ უნდა გადავიდენ არც სახუმარო არც უხუმარო ჟურნალ-გაზეთები. ერთის პირის ცუდის საქციელისათვის რომ მთელი წოდება, მთელი ერი კაცმა სასაცილოდ გამოიყვანოს, ეგ იმას ეგვანებოდა, რომ ბურენინისა და პლეშჩეევის შეტაკების გამო მთელი პეტერბურგის ლიტერატორები საქმეში ჩაგვეხვია და მათ ტიპად წარმოგვედგინა თუნდ გორილას მზგავსი ქმნილება, რომელიც ახლად მოგლეჯილ ბამბუკის ჯოხებით შეიარაღებული გამოდის თავის მოძმეებთან საბრძოლველად.

რომ კავკასიელმა «კნეზმა» არ იცოდეს რა ითვლება ნევის პროსპექტზედ ნება-დართულ დროს გატარებად და რა ნება დაურთველად, — ეს გასაკვირველი არ არის, რადგან, პეტერბურგის ლიტერატორის მოქმედებას შეიძლებოდა ის აზრი შეედგინებინა მისთვის, რომ ნევის პროსპექტზედ მარჯვედ კეტის ხმარებისთვის იქნება, დასჯის მაგივრად, სამთავარ-სარდლო კვერთხებსაც არიგებდენო...

* * *

და რომ ასეა ხოლმე ხანდისხან ცხოვრებაში, ამაში ეჭვის შემოტანა ძნელია. აი ამისი მაგალითი: ერთერთს სასწავლებელში (ამბობენ ეს სასწავლებელი ამერიკაში ნიუ-იორკელის შტატშიაო) ერთს მასწავლებელს ახალი სასჯელი მოუგონია დამნაშავე ბავშვებისათვის. ეს სასჯელი თმებით აწევაა. დამეთანხმებით, რომ ამ მასწავლებლის მახვილ-გონიერება გამოჩენილი ედისონის (ესეც ამერიკელია) მახვილ-გონიერებას არ ჩამოუვარდება. მართლაც თმებით აწევა ბევრით სჯობია ყურებით აწევას. ჯერ ერთი ესა ყურები კაცს მარტო ორი აქვს და ბიბილოს მეტი რომ არა მოაგლიჯო-რა, ისიც კი შესამჩნევად დაამახინჯებს; თმები კი ღმერთს უხვად მიუცია და თუნდ სულ დაგლიჯო, დალაქებს თუ მისცემ ცოტა ზარალს, თორემ ეს სამკაული ისევ მალე ამოუვათ ბავშვებს თავზედ უმაკმასტეროთაც. ამბობენ ამ გამოგონებისა თმების მტერს პედაგოგს პრივილეგია აუღია და ერთ-დროისად უმაღლესი ხარისხიც მიუნიჭებიათ და ნიუ-იორკელის მეორე კოლეგიის ინსპექტორადაც დაუნიშნავთო...

* * *

ამერიკას თავი დავანებოთ და ჩვენს დედა-ქალაქს თბილისს დავუბრუნდეთ. თბილისში, როგორც მოგეხსენებათ ძველი ამბავიც და ახალიც უფულობაა და, აი, ოჯახებშიაც, ქუჩებშიაც, თეატრებშიაც ამ სიტყვების მეტი არა გესმით-რა: ნეუსტოიკა, ვექსილი, ზაკლადნოი, კუპჩა და სხვა ამ გვარი ლექსთა კონა სანოტარიუსო წესდებიდამ. ამ სახელების ჩამოთვლას მოსდევს თუ ორივ მხრით არა, ერთის მოლაპარაკის მხრივ მაინც დაღვრემილი სახე, ხვეწნა-მუდარა, ხანდისხან თვალებზედ მოგუბებული ცრემლებიც. მაგრამ ამ დღეებში ამ სიტყვებს მოლაპარაკეთა და მსმენელთა მხრივაც მოსდევს ერთი მხიარულება, ხუმრობა, ნიშნის-მოგება და თუ ვისმეს თვალზედ ცრემლებს შეამჩნევთ, ეს ცრემლები შეუმაგრებელი სიცილისგან წარმოსდგებიან და არა მწუხარებისაგან. მართლაც, საცა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათის წლის შესრულება თვისის დაარსებიდამ. დღესასწაული პარაკლისით დაიწყო კონფერენც-დარბაზში, სადაც სდგას ძეგლი იმპერატორის ალექსანდრე 1-ისა ყვავილებით შემკული. პარაკლისის შემდეგ ინჟინერებისაგან გამართულ იქმნა კლუბში ამხანაგური სადილი. პარაკლისზე და სადილზე დაესწრენ მინისტრის თანაშემწე და გზის სამინისტროს ყველა მოხელენი.

ბერნი. შვეიცარიის საკავშირო მმართებლობაში 1885 წლისათვის იგივ ძველნი წევრნი იქმნენ ამორჩეულნი; პრეზიდენტად ამოირჩიეს რადიკალი დევკერი.

ბუხარესტი. სამინისტრომ შეიტანა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი.

## ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრამიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სნებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საზირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე ყბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 | კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ | |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 | კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ | |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 | კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ | |
| ჯვარის-მამი პური: | | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ | |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ | |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 | კ. |
| ძროხის ხორცი: | | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 | კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 6 | კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 | კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 | კ. |
| ღორის ხორცი: | | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 | კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 6 | კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით სახქარო
10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით სახქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ამ თვის 18-დამ „წერა-კითხვის საზოგადოების“

კანცელიარია.

გადატანილ იქმნა ძველის სადგომიდამ კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზედ გიორგი მართველიშვილის სახლებში. (3—2)

გამოვიდა და იყიდება

### ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო ქარვასლაში; ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა.
არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, კოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—10)

---

გაივლით ეხლა ჩვენს ქალაქში, ერთს ახალ ამბავზედა ლაპარაკობენ, რომელშიაც გმირებად ასახელებენ თ. ა—ს და თ—ს (ეს უკანასკნელი იმ თ—თაგანია, რომელზედაც ამ დღეებში იყო ლაპარაკი ჩვენსავე გაზეთში. მტყობა ერთ „თანსაც“ და მეორესაც მოსწყენიათ ფოდრატების ალება და განუზრახავთ «საქმენი საგმირონი», რათა თავიანთ სახელი შთამომავლობას ამაყად გადასცენ). პირველი თ—ი თურმე ორმოცი წელიწადი ისე ათამაშებდა და სტანჯავდა თ. ა—ს, როგორც უგული პირუტყვი თავის მსხვერპლს აწვალებს ხოლმე და ამ უკანასკნელს ნება-უნებურად სიბერემდე უთმენია ესეთი წვალება; ბოლოს ისეთს რასმე ჩაუგონებია თავიდამ დახსნის სახსარი, რომელსაც თავის-დღეში ვერ მოიფიქრებდით—ჩაუგონებია ეს შავ-ქვას, რომელიც იმის დედის მამულში ერთ დროს თურმე უხვად იპოებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოლეულა. თ—ი გეოლოგიაზედ სუსტად ბძანებულა და ასე ჰგონებია „შავი-ქვა“ თავის დღეში არ დამელევა, რაკი ამ მამულს ვიყიდიო და საჩქაროდ მიუცია ხუთი ათასი თუმანი იმ მამულში, რომელიც ამ ორი-სამის წლის წინად რვაასს თუმანს იძლეოდა და რომელშიაც ეხლა რვაასს შავი ქვის კენჭსაც ველარ იპოვით თურმე; თან შტრაფიც ხუთი ათასი თუმანი ჩაუწერიათ იმისთვის, ვინც კი პირობას გადავა. ერთი დღე, ვიდრე ამ ამბავს გაიგებდა, თ—ი ცას ეწეოდა მხიარულებით, მაგრამ ეხლა, როდესაც თქვენ შეჰხვდებით ბულვარზედ ქართულ-კაბიანს, სქელსქელ, დიდ ულვაშებიან კაცს, რუსულ კოზიროკიან ქუდით, რომელსაც (კაცს და არა ქუდს) თავ-პირი ჩამოსტირის, იცოდეთ, რომ ეს კაცი ახლად ჩაშავქვავებული თ—ია.

—

განცხადებანი:

ჩვენს ახლად შეძენილს მამულში ვმართავ საგანგებო ზავოდს, სადაც იანვრის 1-დამ 1885 წლისა გავყიდი

შავქვას და ნაცარ-ცხელს

ფუთობით, გირვანქობით და მისხლობით.

(50000—1) ა. თ—ვი.

---

ქუთაისი

ხარაზოვისეული თეატრი

ორშაბათს, დეკემბრის 31-ს მომავალის წლის მისაგებებლად გამართული იქნება ფრიად გასართობი საღამო.

პროგრამა:

განყოფილება ა.

1) ორპირის ქუჩა და მისი მნიშვნელობა XV საუკუნეში. არსებობა ამ ქუჩისა ქრისტეს წინადაც. სახალხო ლექცია,—წაიკითხავს რაულ-დუღლა-ტრამბლეშვილი.

2) „კაპიტალი“ მარქსისა. კრიტიკული ეტიუდები, წაიკითხავს ივ. მ—ძე.

3) პასტერი და მისი თეორია ცოფის აცრის შესახებ და ამ თეორიის გამოყენება, ჩემის აზრით, საკვლავიოდ, თუ ვინიცობაა ეს სენი ეწვია ქუთაისს, წაიკითხავს დუმის ხმოსანი ალ—ძე.

განყოფილება ბ.

1) „სამართალს ფულითა ვჰრიდი», ლექსი, წაიკითხავს მეორე ხმოსანი დუმისა ბე—იანი.

2) მუხამბაზი საზზე და სიმღერით, აასრულებს ტ.-დ. ი—ცი.

3) ლეკური და ჩაჩნური ხანჯლებით, აასრულებს ბრ. ბ—ვი და კამპ.

დასასრულ

ხორო სიმღერებისა ატეც მასილის ლოტბარობით. ხოროში მონაწილეობას მიიღებენ: ივ. მ—ძე (წვრილი), ბ—იანი (მოძახილი), ბ. ბ—ვი და ისაკ დავითიჩი (მეორე ხმა), დ. ხ—ზოვი და დავითა ურია (ბანი).

დასაწყისი შუაღამეზე.

ბილეთები იყიდება ძმათა ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში, სადაც, სხვათა შორის, იყიდება ა. აკოფაშვილის ლექცია ლანკასტერისა და დისტერვეგის მეთოდების შესახებ. (15—1)

**სამგვარი სიყვარული**

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** კრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში, შაკერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** შილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—5)



საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მისვლელ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ფასებისა «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, შუბლი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მეკრატლები, სამართებლები, სანთლები, სანთლის, ცარამუზი ჭურჭლის საწმენდი (ბორაქსი) თეთრეულისათვის, პატარა ხელები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, საკარძლები, სარკები, საკარცხლები, ბუშმენი, ზარები, ზინოკლები რვულეკები, კატერასისები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ქუჩვები, ნემსები, მაგნიტები, სკასტოკი, ბომაზი, ქამრები, სარტყლები, ფრთხები, საფრთხეები, გრანები, ფილტრები, შმოტკები, თავისი; ტანისამოსისა, ცხენისა და მატენტიანი მკანტოშები, კრაგები, საქამოი ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარქი—20 კ. (100—23)


---

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 29 დეკემბერს ამა 1884 წლისა, დილის 12 საათზე, ქ. **თბილისს**, **თბილისის** თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის სადგომზე, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკში ეხლავე მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რაღგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახედროდ გადასახადი არ შეუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეიტანენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამეტებით სხვა და სხვა შეუსვებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნულ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს ერგებისა მიღებული მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა ამავე ბანკის გირავნის ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთზე და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

მისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით დაიწყება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15 იანვარს მომავალის 1885 წლისა.

### $18^1/_2$ წლიანნი სესხნი.

ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ბაღის ქუჩაზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირისსახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 24,841 მან. 27 კაპ., შესავს. გადასახ. 2,686 მან. 4 კაპ.—სულ 27,527 მან. 31 კაპ.

მემკვიდრეთ მარზოევისა, ივანე მინას ძის: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 99,364 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახ. 10,750 მან. 13 კაპ.—სულ 110,115 მან. 11 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ქვითკირის დუქნები და მიწა 1259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 13,060 მან. 09 კაპ.—სულ 120,705 მან. 53 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, სამ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, $243^1/_2$ კვადრ. საჟ; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 12,643 მან. 61 კაპ.—სულ 120,289 მან. 05 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, IV ნაწილში, ბანოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ოთხ ეტაჟიანი და მეორე ორ ეტაჟიანი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 37,669 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახ. 3,764 მან. 88 კაპ.—სულ 41,434 მან. 34 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, მეოთხე ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,952 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1,075 მან. 41 კაპ.—სულ 18,027 მან. 79 კაპ.

ზირათოვისა, ნინო ალექსანდრეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ახალ-ბებუთოვის და ძონსულის ქუჩებს შუა ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. 2038 მან. 40 კაპ.—სულ 21,509 მან. 78 კაპ.

ზაზაევისა, დავით ვასილის ძის: 2 განყოფილებაში, მე 6 ნაწილში ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი მაღაზიებით და მიწა, 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1781 მან. 31 კაპ.—სულ 21,258 მან. 69 კაპ.

ნადიროვისა, ეკატერინე მიხაილის ასულის: მეორე განყოფილებაში მე 6 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა, 527 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,620 მან. 76 კაპ., შესავს. გადასახ. 643 მან. 41 კაპ.—სულ 11,264 მან. 17 კაპ.

ნადეჟდინისა, ნადეჟდა ალექსის ასულის: პირველ განყოფილებაში პირ ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 231 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 22,126 მან. 60 კაპ., შესავს. გადასახ. 1333 მან.—სულ 23,459 მან. 60 კაპ.

ტერ-გრიგორიანცისა, ტერ-ოვანეს ტერ-ზაქარიას ძის, მღვდლისა: მეორე განყოფილებაში, მე 4 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7257 მან. 51 კაპ., შესავს. გადასახ. 344 მან. 74 კაპ.—სულ 7602 მან. 25 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მე 8 ნაწილში, ჩუღურეთში ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,390 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 1151 მან. 13 კაპ.—სულ 13,542 მან. 04 კაპ.

ბიჩიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ერდოზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 83 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3681 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახადი 320 მან. 72 კაპ.—სულ 4002 მან. 18 კაპ.

ისკელიანისა, იასონ სოფრომის ძის: მეორე განყოფილებაში, მეათე ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 2,212, 51 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 27,610 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 2843 მან. 10 კაპ.—სულ 30,454 მან. 01 კაპ.

ორბელოვისა. ნინო ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,123 მან. 99 კაპ., შესავს. გადასახ. 475 მან. 93 კაპ.—სულ 10,599 მან. 92 კაპ.

### $43^1/_2$ წლიანნი სესხნი.

ტფილისის გუბერნიის მისივე მაზრისა.

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1955 მან. 56 კაპ., შესავს. გადასახ. 151 მან. 17 კაპ.—სულ 2106 მან. 73 კაპ.

მაღალოვისა. სოფიო იოსების ასულის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2942 მან. 50 კაპ., შესავს. გადასახ. 190 მან. 39 კაპ.—სულ 3132 მან. 89 კაპ.

(3—1)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Ноября 1884 г.* სტამბა არ. ქელანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი